ერთიანი ოჯახი, შენ ვინ მოგაქვ შენ-ი ახალგაზრდა

ელადა

საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთი

გამოდის 2002 წლის დეკემბრიდან

№13(107)

ივლისი
2007 წელი

Ελλάδα

აქცია ქართული ემიგრანტული სკოლის გასაძლიერებლად

მაყვალა მესხაძე

ათენის ქართულმა საკვირაო სკოლამ 2006-2007 სასწავლო წელი დაძაბულად ჩაათავა. ბევრ პროვოკაციულ გამოხდომას გაუძლო როგორც ბერძნების, ისე ქართველების მხრიდან და ღირსეულად გადაიტანა კიდეც, პედაგოგიური სინდისითა და სამშობლოსათვის ღირსეული მომავალი თაობის აღზრდის დაუძლეველი სურვილით.

რამდენიმე წელი პატარა ემიგრანტებისათვის ნაყოფიერი გამოდგა.. რა თქმა უნდა, იმათთვის, ვისაც ნამდვილად სურს ქართული ფესვების შენარჩუნება. სკოლას ჰყავს მოსწავლეთა და მათი მშობლების შეგნებული, ემიგრანტულ ყოფაში გათვითცნობიერებული ბირთვი.

ახალი ქართული წიგნები ათენში



ჩანაწერები და იმ ეროვნულ-მამულიშვილური ღონისძიებების ნაწილი, რაც საბერძნეთში ეწყობა საელჩოსა და რედაქციის ინიციატივით.

„100_ დედა-ემიგრანტი“ მკითხველთა სამაგიდო წიგნად იქცა, რადგან იგი საბერძნეთში დროებით მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ყოფა-ცხოვრების ჰირუთვნელი აღმწერელია. თუმცა ერთმა წიგნმა ვერ მოიცვა ელადელი ქართველების ცხოვრება და სწორედ ამიტომ მომზადდა „100 დედა-ემიგრანტის“ მეორე ნაწილი - „ელადელი ქართველები“, რომელიც იგივე პრინციპითაა შედგენილი, როგორც მისი წინამორბედი და ათეულობით ქართველის შესახებ აუწყებს

აფხაზეთო, შენს ქუჩებზე სისხლის ლაქა აწყვია...

რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია

მტკივანი გულისა, რაც ბედმა
გვარგუნა.

ჩემო ძვირფასებო, თქვენი ცხ-
ოვრება მაინც ბედნიერებაა, რად-
გან თქვენი ცხოვრების თანამდე-
ვია დიდი სიყვარული. იგივეა
გაძლების ელექსირიც, ამ უსა-
მართლო შრომაში სასწაულებს
რომ შეგაძლებინებთ და სიყ-
ვარულის გაცემის ნიჭი, რომელ-
იც უხვად დაგაბერწყათ ღმერთ-
მა და რომელსაც მთელი ცხ-
ოვრება უშურველად უნაწილებდით
ყველას.

ბევრი რამ ითქვა, დაიწერა,
მაგრამ ბევრიც უთქმელი დარჩა
აფხაზეთში მცხოვრები ხალხის ჭირ-
ვარამზე. დიდი უბედურება და-
ტრიალდა, უამრავი ადამიანი ემ-
სხვერპლა უსამართლო ომს, ხალხი
წელში გატყდა, ცხოვრების საუკეთე-
სო პირობებით განებივრებულნი
უსახლკაროდ დარჩნენ, უფსკ-
რულისპირას აღმოჩნდნენ ფაქტო-
ბრივად, მაგრამ, ღვთის ძალით,
სასწაულებიც ხომ ხდება. და
ადამიანებმა გამონახეს გზა ხს-
ნისა, ეს კი იმ დროს გმირობის
ტოლფასი იყო. სწორედ ამიტო-

შუმე აგრონომი გახლდათ, რომელ-
იც საოცარი გულისხმიერებით
ერთგულების და თანადგომის
უნარით გამორიჩევა. მას ყველა
ადამიანის საოცარი სიყვარული
შეუძლია; ეს უბერებელი, სუ-
ლით ნაზი, კოპწია ქალბატონი
სასწაულებს ახდენს დღემდე,
ამიტომაც გამორჩეულად გვიყ-
ვარს ყველას და მეც უსაზღვროდ
მენატრება.

ჩვენ მეზობლები ვიყავით, მა-
გრამ რა გრძნობა შეიძლება აკავ-
შირებდეს ადამიანებს გარდა მშობ-
ლიურისა, ისეთი, რაც ღრმა სული-
ერ ურთიერთობებს წარმოშობს
და განავითარებს? სწორედ ამი-
ტომაა ჩემთვის მეზობლობა ძალიან
ძვირფასი.

მე მშობლები ადრე დავკარგე.
გულახდილად ვაღიარებ. ობლო-
ბა ამ საუკეთესო ადამიანებმა
თავიანთი მზრუნველობით არ მა-
გრძნობინეს. არ არსებობდა დღე,
წუთი, საათი, რომ ისინი ჩემ
გვერდით არ ყოფილიყვნენ საქმით,
სულით, სიყვარულით... მაშინაც
კი, როცა სულ მარტო დავრჩი,
ჩემს სახლში მარტოს ერთხელაც

შრომა დამღლელი, მაგრამ ნაყ-
ოფიერი. სწორედ ამის მაგალი-
თია გოგი გაბუნიას ოჯახი.

...ქალაქი დაუზოგავად იბომბე-
ბოდა. სარდაფებში გატარებული
თვეების შემდეგ, ცხადი გახდა,
რომ ოჯახები უნდა დაგვეტოვე-
ბინა და გამოვქცეულიყავით. ამ
მძიმე მომენტში დატოვა სოხუმი
მეუღლესთან ერთად გოგი გაბუ-
ნიამ. მე ჯერ გადაწყვეტილება
მიღებული არ მქონდა. ჩემი
საუკეთესო მეზობლები მატარებ-
ლის ბაქნამდე გავაცილე, რომელიც
ჩვენს სახლთან ახლოს უნდა გაჩ-
ერებულიყო. ჩემს მამობილს თავისი
სავსე ოჯახიდან რამდენიმე ჩანთა
და გაზის ბალონი წამოეღო. მეტი
ვერაფერი ნახე წამოსაღები-მეთ-
ქი? - ხუმრობით ვუსაყვედურე,
მაგრამ განა რომელიმე ჩვენგანი
წარმოიდგენდა, რომ დიდი ხნით
ტოვებდა მშობლიურ სახლს? ჩვენ
ხომ მხოლოდ „ცოტა ხნით“ გამ-
ოვერიდეთ იქაურობას....

ბოლოს შევიტყვე, რომ ბა-
ტონი გოგი მეუღლესთან ერთად
დაბრუნებულა მიტოვებულ, მამა-
პაპისეულ სახლში

გაოეთ დარჩენილ მათ თანატოლებს საუკეთესოს პრიზის მოსაპოვებლად ვინ ვევეთ მომავალი წლისათვის!

ბავშვებო! ნათელ მომავალს გისურვებთ მშობლიური ცის ქვეშ!

მაყვალა მესხაძე

ძალგატონი ლუსია და გატონი გოგი შვილიშვილთან ერთად ახალ ფუძეზე

განა რა უნდა მოხდეს, რა ძალა უნდა მოგცეს უზენაესმა, რომ ოთხმოც წელს მიტანებულმა კაცმა, სახლის მშენებლობა წამოიწყო, აღადგინო და მართო საოჯახო მეურნეობა სოფელში, შვილებს, შვილიშვილებს და საყვარელ ადამიანებს სოფლის ნობათი უგზავნო დღესასწაულებზე, სტუმრად მიიღო, გულიანად შეხვდე გამვლელ-გამომვლელს, მნახველებს, და რაც მთავარია, იმედი იყო შენი ოჯახისა, ახლობლებისა (ჩემი თავიც მყავს მხედველობაში), მიუხედავად იმ

ლო, დახმარების ხელი გაწვდილი ჰქონდა.

სოხუმში ცხოვრობდა და მუშაობდა ერთი კარგი ოჯახი, რომელიც საკმაოდ განათლებული, შეძლებული და ავტორიტეტული იყო იქაურ საზოგადოებაში. ეს გახლდათ გიორგი (გოგი) გაბუნიას ოჯახი.

გოგი გაბუნია პროფესიით ისტორიკოსია, შთამომავლობით აზნაური გახლავთ და ამითაც დიდად ვიწონებდით თავს. მისი უმშვენერესი მეუღლე ლუსია გოჩოლეიშვილი პროფესიით მეაბრეშუმეა. ... ...